შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№3 (10.011)

12-19 თებერვალი 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროელმა

კიკბოქსინგელებმა

2022 წელი

გამარჯვებით დაიწყეს

გვ. 3

გაიზარდა თუ

არა ტარიფები

კომუნალურ

გადასახადებზე?

გვ. 4

რატომ გაძვირდა

მსოფლიოში

ცხოვრება?

გვ. 6

ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურად მიმდინარეობს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილესთან, გივი მეტრეველთან, პარლამენტის მაჟორიტარ წევრ დავით სონღულაშვილთან, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან ნიკოლოზ ჯანიაშვილთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან ნუგზარ პაპიაშვილთან და ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები მოინახულა.

მინისტრი ქ. დედოფლისწყაროში პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს გაეცნო, ხოლო შემდეგ დალის წყალსაცავს ეწვია, სადაც აქტიურ ფაზაშია დედოფლისწყაროს წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციის პროექტი. აღნიშნული პროექტი მოიცავს ქალაქ დედოფლისწყაროსა და 15 სოფლის (ხორნაბუჯის, სამრეკლოს, ფიროსმანის, სამთაწყაროს, თავწყაროს, ჭოეთის, საბათლოს, ზემო ქედის, ქვემო ქედის, არხილოსკალოს, გამარჯვების, ოზაანის, არბოშიკის, ზემო მაჩხაანის და მირზაანის) წყალმომარაგების ქსელის სრულ რეაბილიტაციას.

სამუშაოების ფარგლებში მოეწყობა წყალმომარაგების სრულიად ახალი ცენტრალიზებული სისტემა, რეაბილიტირდება და აშენდება რეზერვუარები, ჭაბურღილები, სატუმბო სადგურები და სათავე ნაგებობები, რასაც ჯამურად 58 მილიონი ლარი მოხმარდება, სამუშაოების დასრულების შემდეგ კი, მოსახლეობა 24 სთ-იანი ხარისხიანი წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი.

ირაკლი ქარსელაძე კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილესთან, გივი მეტრეველთან, პარლამენტარ დავით სონღულაშვილთან და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან ნიკოლოზ ჯანიაშვილთან ერთად სოფელ სამთაწყაროშიც იმყოფებოდა, სადაც საჯარო სკოლის შენობის სრული რეაბილიტაცია-გამაგრება მიმდინარეობს. სკოლა 330 ბავშვზეა გათვლილი. პროექტის ფარგლებში ხორციელდება წყალმომარაგების, ელექტროენერგიის, გათბობის, ვენტილაციისა და სახანძრო სისტემების განახლება. **„მოვინახულეთ პროექტები, რომლებიც ხორციელდება სხვადასხვა მიმართულებით, როგორც საგზაო, წყალმომარაგების, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის. სამუშაოები მიმდინარეობს ძალიან ინტენსიურად. მოვინახულეთ დედოფლისწყაროსთვის ისტორიული წყალმომარაგების პროექტი, რომლის ფარლებშიც დედოფლისწყაროს და მის მიმდებარე სოფლებს გაუუმჯობესდება წყალმომარაგება, სამუშაოები დასრულდება ვადაზე ადრე. მიმდინარეობს სამთაწყაროს სკოლის რეაბილიტაცია. 330 ბავშვი თანამედროვე და განახლებულ პირობებში მიიღებს განათლების შესაძლებლობას. განახლებული რეგიონების პროგრამის ფარლებში, რომელიც პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შარშან დაიწყო მნიშვნელოვანი პროგრესი უკვე წელს გვაქვს. 2022 წელს კახეთში ისევე როგორც მთელ საართველოში 63- ვე მუნიციპალიტეტში უკვე ეტაპობრივად გაზაფხულიდან მოხდება შესაბამისი არეალების დასრულება პირველი ეტაპის ფარგლებში, რომელიც 500 მილიონი ლარის ოდენობისაა. 4 წლიან პროგრამას შესაბამისი გაგრძელება ექნება, რეალურად ეს არის ახალი შესაძლებლობა მუნიციპალიტეტის მკვიდრთათვის, რათა მიიღონ ის ახალი სერვისები, რომლებიც აქამდე არ ჰქონიათ და ასევე ბიზნესის განვითარებისთვის“** - აღნიშნა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ კახეთის რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტების სამუშაოების გაცნობის შემდეგ

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3,6 მილიონი ლარით დაფინანსდა.

„დაიმსხვრა მითი, რომ ქართული თაფლი ევროკავშირში ვერ გავიდოდა“

2021 წელს ქართული თაფლის ექსპორტი 696%-ით გაიზარდა. მეფუტკრეთა გაერთიანების ხელმძღვანელი ალეკო პაპავა „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას ამბობს, რომ გასული წელი სექტორისთვის გარღვევა იყო და „დაიმსხვრა მითი, რომ ქართული თაფლი ევროკავშირში ვერ გავიდოდა“.

„2021 წელი თაფლის სექტორისთვის გარღვევა იყო. პირველ რიგში, მოცულობით ყველაზე მეტი თაფლი გავიდა ქვეყნიდან და თან, ექსპორტის დაახლოებით 70% ევროპაში განხორციელდა. ამით დაიმსხვრა მითი, რომ ქართული თაფლი ევროკავშირში ვერ გავიდოდა... ვერ დავაკმაყოფილებდით ევროკავშირის სტანდარტს. 2021 წელს ასევე ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დიდ ბრიტანეთში ყოველწლიურ, ყველაზე პრესტიჟულ ფესტივალზე ქართული თაფლის წარდგენა, სადაც ოთხმა კომპანიამ ვერცხლის მედლები აიღეს. ეს პირველი მონაწილეობა იყო ქართული კომპანიების ასეთი მასშტაბის საერთაშორისო კონკურსში და დიდი წარმატებაა, რომ პირველი ცდა ასეთი რეზონანსული აღმოჩნდა. გასაკვირი არცაა, რომ ქართული თაფლის მიმართ ინტერესი იზრდება, მაგრამ რჩება გამოწვევებიც. ახლა ჩვენი მთავარი მიზანია თაფლის დანაგვიანების მთლიანად აღმოფხვრა. სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად, საერთო მუშაობით დანაგვიანების მაჩვენებელი 54-56%-დან 6-8%-მდე ჩამოვიდა, მაგრამ მიზანი, დანაგვიანების სრული აღმოფხვრაა“, - განაცხადა პაპავამ.

მისივე თქმით, გარდა დაბინძურების აღმოფხვრისა, ახლა მთავარი გამოწვევა საწარმოო სიმძლავრეების გაზრდა. საბოლოოდ კი, საქართველოს აქვს პოტენციალი ნატურალური თაფლის წარმოება გააორმაგოს. ,,რაც შეეხება მიმდინარე წელს, ჩვენი მიზანია სანამოო სიმძლავრეების გაზრდა. თაფლის დიდი პარტიებით გასვლის პირველი დიდი ნახტომი განაპირობა სამტრედიაში, სოფელ ბარში, თაფლის საწარმოს გახსნამ, რომელსაც აქვს 20 ტონიანი ჰომოგენიზატორი, ანუ მას შეუძლია 20 ტონა ერთი და იგივე პარტიის მომზადება. ამით არის დიდი დაინტერესება და მსგავსი საწარმო საქართველოში 4-5 მაინც არის საჭირო. ჩვენ ვცდილობთ, ამ კუთხით დავაინტერესოთ კერძო სექტორი. ასევე მეფუტკრეთა გაერთიანების ფარგლებში წლის განმავლობაში საქართველოს ყველა რეგიონში ვგეგმავთ საგანმანათლებლო ტრენინგის ჩატარებას, საუკეთესო პრაქტიკის დასანერგად. შეიძლება ცოტა ამბიციურადაც კი ჟღერს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ჩვენი ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე ვაწარმოოთ 8 000 ტონამდე თაფლი. დღეს დაახლოებით 3 000-4 000 ტონამდე თაფლს ვაწარმოებთ“, - განაცხადა პაპავამ ,,ბიზნესპრესნიუსთან“. შეგახსენებთ, გაიზარდა. საქსტატის ცნობით, 2021 წელს სხვადასხვა ბაზარზე 173 ტონა ქართული თაფლი გავიდა, ყველაზე მეტი, 143 ტონა კი, ევროპის ქვეყნებშია ექსპორტირებული.

ლარის კურსი სტაბილურდება?

ლარის გამყარება და მისი კურსის შემდგომი სტაბილურობა უმნიშვნელოვანესი პროცესია ბიზნეს სექტორისთვის. უკანასკნელ წლებში ბიზნეს საქმიანობის ხელისშემშლელ უმთავრეს ფაქტორად მუდმივად სახელდებოდა გაუფასურებული და არასტაბილური ლარის კურსი. იგი უაღრესად უარყოფითად აისახებოდა კომპანიების ფინანსურ მდგომარეობაზე, ხელს უშლიდა მათ ზრდა-განვითარებასა და მძიმე და არამიმზიდველ ვითარებაში აგდებდა კომპანიების ფინანსურ უწყისებს.

ყველასთვის ცხადია, რომ ლარის კურსის გამყარება და მისი შემდგომი სტაბილურობა გამოიწვევს ყველა მაკროეკონომიკური პარამეტრის გაუმჯობესებას, მათ შორის ხელს შეუწყობს ინფლაციის მოთოკვას. ამასთან, ლარის გამყარება და მისი კურსის სტაბილურობა პოზიტიურ ზეგავლენას იქონიებს მომხმარებელთა მსყიდველუნარიანობის გაუმჯობესებაზე, ეკონომიკურ აგენტებში პოზიტიური განწყობების ჩამოყალიბებაზე, რისი შედეგიც, თავის მხრივ, ეკონომიკური აქტივობა გაიზრდება.

საქართველოს რეალობაში ლარის კურსი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორი არ არის, მისი გაუფასურება და არასტაბილურობა კი უაღრესად მძიმე ტვირთად აწვება ბიზნესს და, შესაბამისად, ეკონომიკას. ლარის გაუფასურება და მისი კურსის არასტაბილურობა, ბუნებრივია, უარყოფითად აისახებოდა, ასევე, ადგილობრივი თუ უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზეც.ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის განხორციელების პირობებში სრულად რეალურია ლარის სიმყარისა და სტაბილურობის შენარჩუნება.

შეგახსნებთ, რომ 1 აშშ დოლარის ოფიციალური ღირებულება გასულ კვირას 2.9331 ლარი გახდა. ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, გასული კვირის ვაჭრობის შედეგად 1 აშშ დოლარის ღირებულება 2.9331 ლარი გახდა. კურსი, რომელიც დღეს მოქმედებდა, 2.9200 ლარი იყო. შესაბამისად, დოლარის ცვლილებამ ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში 0.0131 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება ევროს, მისი კურსი 3.3546 ლარია. მაშინ, როცა დღეს მოქმედი კურსი 3.3338 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ევროს ცვლილებამ 0.0208 ლარი შეადგინა.

„დიდი მადლობა ჩვენს გუნდს, ეკონომიკის სამინისტროს გუნდს, ვის გვერდითაც სამი წლის განმავლობაში ვიმუშავე“

ნათია თურნავამ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის თანამდებობა დატოვა. ამის შესახებ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

პრემიერმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის თანამდებობაზე ლევან დავითაშვილი წარადგინა, რომელიც ამ დრომდე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტს იკავებდა.

როგორც მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე ნათია თურნავამ განაცხადა, მისთვის ძალიან დიდი პატივი იყო ის ნდობა, რაც გუნდმა ამ სამი წლის განმავლობაში გამოუცხადა. „პირველ რიგში, მსურს დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენს გუნდს, ეკონომიკის სამინისტროს გუნდს, ვის გვერდითაც სამი წლის განმავლობაში ვიმუშავე“, - განაცხადა ნათია თურნავამ. მისი თქმით, ეს იყო მართლაც რთული წლები, მაგრამ, რაც მთავარია, შეიქმნა ძალიან მყარი საფუძველი, რომ ქვეყნის ეკონომიკა გაჯანსაღდება და სწრაფად განვითარდება. „ახლა მოდის ახალი ინიციატივების პერიოდი, ახალი გამოწვევები და დარწმუნებული ვარ, რომ ბატონი ლევანი საქმისადმი მისთვის ჩვეული ერთგულებით, გამოცდილებით, თავისი პროფესიონალიზმით ყველაფერს ძალიან მაღალ დონეზე გაართმევს თავს და ეკონომიკის ერთ-ერთი წარმატებული მინისტრი იქნება. პირადად ვუსურვებ წარმატებას“, - განაცხადა ნათია თურნავამ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე. რაც შეეხება მის სამომავლო გეგმებს, ნათია თურნავას თქმით, ის კვლავინდებურად რჩება გუნდის წევრად. თუმცა, კონკრეტულად რა მიმართულებით გააგრძელებს მუშაობას, ამ ეტაპზე საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

„მაქვს სურვილი, რომ გარკვეულწილად შევიცვალო სფერო, სხვა ასპარეზზე მოვსინჯო ძალები, რა თქმა უნდა, ვრჩები ჩვენი გუნდის ერთგულ წევრად“, - აღნიშნა ნათია თურნავამ. ნათია თურნავამ ასევე მადლობა გადაუხადა მედიას ამ წლების განმავლობაში გაწეული თანამშრომლობისთვის. ნათია თურნავა საქართველოს ეკონომიკისა და განვითარების მინისტრად 2019 წელს დაინიშნა. დავითაშვილი ეკონომიკის მინისტრობასთან ერთად, კვლავ იქნება ვიცე-პრემიერი. „ნათიას აქვს თავისი ხედვები და გეგმები. ამის შესახებ თავად მოგახსენებთ მოგვიანებით”, - თქვა ღარიბაშვილმა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია გახდა. შამუგია მანამდე ამავე სამინისტროში მინისტრის მოადგილის თანამდებობას იკავებდა.

„ოთარი არის დევნილი სოხუმიდან, დაიბადა სოხუმში, გაიზარდა სოხუმში, სკოლა დაამთავრა სოხუმში, შემდეგ ცხოვრობდა დევნილობაში ზუგდიდში, თბილისში და რომ იტყვიან, თავისი კეთილსინდისიერი და პატიოსანი შრომით მიაღწია მინისტრობას. ოთარმა 16 წელი იმუშავა ამ სამინისტროში. მან დეტალურად იცის, რა სჭირდება სოფლის მეურნეობას, გარემოს დაცვას და მჯერა, რომ იგი წარმატებული მინისტრი იქნება”, - თქვა ღარიბაშვილმა. ახალმა მინისტრმა მედიასთან ერთ წუთზე ნაკლები ისაუბრა. მან მადლობა გადაუხადა პრემიერ-მინისტრს. „ჩემთვის ეს არის პატივი და ამავდროულად პასუხისმგებლობა, რომ ძალიან ძლიერ გუნდთან ერთად ვემსახურო ჩემს ქვეყანას”, - თქვა მან.

ირაკლი ზარქუა საკონსტიტუციო ცვლილებებზე

2024 წლამდე ძალიან დიდი პერიოდია და მაინცდამაინც დღეს და ხვალ გინდათ? - არა. როცა ჩავთვლით საჭიროდ, რომ ამაზე უნდა ვიმსჯელოთ, ბარიერს ავწევთ, დავწევთ თუ იგივეს დავტოვებთ, ამას თქვენც გაიგებთ და საზოგადოებაც, - ამის შესახებ პარლამენტის წევრმა „ქართული ოცნებიდან“ ირაკლი ზარქუამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, ბარიერის ცვლილებასთან დაკავშირებით გუნდში კონსულტაციები გაიმართება. „ჩვენ ვართ უმრავლესობაში. საკონსტიტუციო ცვლილებების რაღაც ნაწილი უკვე გაკეთებულია, მათ შორის მიშელის შეთანხმების საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ამ შეთანხმებიდან გამოვედით. მაინც მგონია, რომ მათ შორის სასამართლო რეფორმა, მათ შორის საარჩევნო კომისიაში მთელი რიგი რეკომენდაციები გავითვალისწინეთ, მათ შორის ვენეციის ის 10 დასკვნა, რომელი იყო, ჩვენ გავითვალისწინეთ. რაც შეეხება პროცენტის დაწევას - ამასთან დაკავშირებით ჩვენ გუნდში კონსულტაციები გვექნება. 2024 წლამდე ძალიან დიდი პერიოდია და მაინცდამაინც დღეს და ხვალ გინდათ? არა. როცა ჩავთვლით საჭიროდ, რომ ამაზე უნდა ვიმსჯელოთ, ბარიერს ავწევთ, დავწევთ თუ იგივეს დავტოვებთ, ამას თქვენც გაიგებთ და საზოგადოებაც,“ - განაცხადა ირაკლი ზარქუამ.

ცნობისათვის, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე არ გამორიცხავს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებზე გადაწყვეტილების მიღებამ მინიმუმ 2023 წლამდე გადაიწიოს. როგორც კობახიძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „თავისუფალ სტუდიაში“ აღნიშნა, „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება არ ეჩქარება და განიხილავენ ყველა ვარიანტს იმის მიხედვით, რა იქნება 2024 წლის წინა პერიოდში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით მიზანშეწონილი.

საპენსიო სესხის სუბსიდირება მოხდება

მთავრობის ადმინისტრაციაში საპენსიო სესხის პროცენტის საკითხთან დაკავშირებით შეხვედრა გაიმართა. კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ საპენსიო სესხის პროცენტის ზედა ზღვარი 26%-მდე დაიწევს. გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფო პენსიების დარიგების მომსახურებაში პოტენციურ გამარჯვებულ ბანკს ერთი წლის განმავლობაში 15 მილიონ ლარს გადაუხდის. როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ პარლამენტის წევრმა დეპუტატებმა აღნიშნეს, თებერვლის ბოლოს ბანკებისთვის კონკურსი გამოცხადდება, სადაც გაირკვევა, თუ რომელი ბანკი დაარიგებს პენსიებს. მათივე თქმით, ამ ეტაპზე ინტერესი „ლიბერთი ბანკმა“ და „საქართველოს ბანკმა“ გამოთქვეს. ამასთან, როგორც პარლამენტის წევრმა „ქართული ოცნებიდან“, ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, სურვილის შემთხვევაში, პენსიონერი შეძლებს პენსიის სხვა, სასურველ ბანკში მიღებას. „დაახლოებით 15 მილიონით შეეხიდება სახელმწიფო პენსიების დარიგებაში პოტენციურ გამარჯვებულ ბანკს. ასევე, ზედა ზღვარი შემცირდა, რაც იყო ჩვენი გუნდის სურვილი და მათ შორის, ოპოზიციაც ამისთვის იღვწოდა, რომ პროცენტი დაწეულიყო და არა პოპულისტური, არამედ ადეკვატური პროცენტი ყოფილიყო. პროცენტი დაახლოებით, 26 პროცენტის ფარგლებშია. გარდა ამისა, ვთხოვეთ ეროვნულ ბანკს, რომ უშუალოდ პენსიონერებისთვის ცალკე ცხელი ხაზი შეექმნა. ჩვენს პენსიონერებს აქვთ უფლება, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოუნდებათ პენსიის სხვა ბანკში აღება, მათ ამის შესაძლებლობა მიეცეთ. ეს იყო ხელშეკრულებაშიც და ეს პოპულიზმი ვერ მოიშორა ზოგიერთმა ოპოზიციონერმა,“ - განაცხადა ირაკლი ზარქუამ.

თავდაცვის სამინისტრო საკონტრაქტო სამსახურში მიღებას განახლებული პიროგებით იწყებს

სამხედრო საკონტრაქტო სამსახურში მიღება იწყება. საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხვასთან დაკავშირებული პიროგების შესახებ პრესკონფერენციაზე ილაპარაკეს საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილემ, გენერალური შტაბის უფროსმა, ბრიგადის გენერალმა ჯონი ტატუნაშვილმა და ეროვნული გვარდიის მეთაურმა, ბრიგადის გენერალმა რომან ჯოხაძემ.

საკონტრაქტო სამსახურში 4-წლიანი კონტრაქტით მიიღებიან 18-დან 36 წლის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები.

ამ ეტაპზე პოტენციურ რეკრუტებს თავდაცვის უწყება სთავაზობს ყველაზე დაბალი წოდების რიგითის საწყის ხელფასს - 1177 ლარს (ხელზე ასაღები 922 ლარი), რაც 2022 წლის ბოლომდე ეტაპობრივად გაიზრდება 1275 ლარამდე (ხელზე ასაღები 1000 ლარი). მეორე და ყოველი შემდგომი კონტრაქტის დასრულების შემდეგ, სამხედრო ერთჯერადი ბონუსის სახით 7000 ლარს მიიღებს.

როგორც ჯონი ტატუნაშვილმა განაცხადა, სამხედრო მოსამსახურეებს სთავაზობენ ისეთი კარიერული და პროფესიული უნარების შესწავლასა და ათვისებას, რომელიც მათ გამოადგებათ არა მხოლოდ სამხედრო სამსახურში, არამედ თადარიგში გასვლის შემდეგ და იქნებიან ბევრად კონკურენტული სამოქალაქო სექტორში. კერძოდ:

-უცხო ენების შესწავლა, როგორც საქართველოში, ასევე ევროპასა და აშშ-ში;

-სხვადასხვა საკარიერო და პროფესიული კურსების გავლა.

სამხედრო მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს საქართველოში აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის შემთხვევაში, საშუალება აქვთ სახელმწიფოს 50%-იანი თანადაფინანსებით ისარგებლონ. მაღალი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში, მიიღონ 750-ლარიანი სტიპენდია სემესტრულად.

ტატუნაშვილის განცხადებით, ოთხი შვილის და მეტის ყოლის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურეებს ეძლევათ დამატებით სახელფასო ანაზღაურება, შვილის შეძენის დროს -1000-ლარიანი ბონუსი.

„4-წლიან საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში მიიღებიან 18-დან 36 წლამდე საქართველოს მოქალაქეები. სამხედროები უზრუნველყოფილი იქნებიან NATO-ს სტანდარტების უმაღლესი ხარისხის უნიფორმით, სამხედრო აღჭურვილობით, კვებით, უფასო სამედიცინო მომსახურებით, სოციალური და სამართლებრივი დაცვით”, - აღნიშნა მან.

საბინაო პოლიტიკა

გარკვეული სამსახურის შემდგომ, სერჟანტთა შემადგენლობას, მასტერ სერჟანტის და მაღალ წოდებაში მყოფებს საშუალება აქვთ სახელმწიფოს 50%-იანი თანადაფინანსებით მიიღონ საცხოვრებელი ბინა. ასევე ოფიცერთა შემადგენლობას, მაიორის და მაღალ წოდებაში მყოფებს სახელმწიფოსგან შეუძლიათ 50%-იანი თანადაფინანსებით მიიღონ საცხოვრებელი ბინა.

სამხედრო საკონტრაქტო სამსახურში რეგისტრაცია მთელი წლის განმავლობაში შესაძლებელია ონლაინ (Onlinebct.mod.gov.ge), ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ქალაქში (თბილისი, გორი, ქუთაისი, სენაკი, ბათუმი და თელავი), იუსტიციის სახლებსა და რეკრუტირების მობილურ მანქანაში.

რომან ჯოხაძის განცხადებით, თავდაცვის ძალებში რეკრუტირება შესაძლებელია მთელი წლის განმავლობაში. როგორც ის აცხადებს, რეკრუტირების შემდეგ სამხედრო მოსამსახურეები განაწილებული იქნებიან ტერიტორიული პრინციპით.

რეკრუტები ფსიქოლოგიური ტესტირებისა და სამედიცინო შემოწმების შემდეგ, საწყისი საბრძოლო მომზადების ორთვიან კურსს (BCT) გაივლიან. კურსის განმავლობაში მათი სახელფასო ანაზღაურება შეადგენს თვეში 500 ლარს. BCT კურსის დასრულების შემდეგ, ისინი ტერიტორიული პრინციპის მიხედვით სხვადასხვა ქვედანაყოფში გადანაწილდებიან.

დედოფლისწყაროელმა კიკბოქსინგელებმა 2022 წელი გამარჯვებით დაიწყეს!

3-6 თებერვალს ქ. რუსთავი მასპინძლობდა ჩემპიონატს კიკ-ბოქსინგში „მერიის თასი“. ასეთი მასშტაბური შეჯიბრი წლის დასაწყისში პირველია და საქართველოს ყველა რეგიონის გუნ-დი მონაწილეობდა, მათ შორის რუსთავი, თბილისი, ბოლნისი, მარნეული, გარდაბანი, სიღნაღი, გურჯაანი, დედოფლისწყარო და სხვა.

რუსთავის მერიამ მართლაც, რომ ღირსეულად უმასპინძლა აღ-ნიშნულ ჩემპიონატს, ყველანაირი პირობა შექმნა სპორტსმენთათ-ვის, რათა მათ გამოევლინათ საკუთარი შესაძლებლობი.

3 დღიანი ასპარეზობის შემდეგ, 6 თებერვალს შედგა ფინალური ორთაბრძოლები.

საამაყოა, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის (ხელმძღვანელი აკაკი ნატროშვილი) გუნდ „ჩემპიონი“-ს სპორტსმენებმა (მწვრთნელი თამაზ ყარაგვე-ზაშვილი) მოიპოვეს 5 პირველი, 3 მეორე და 2 მესამე ადგილი.

ჩემპიონები გახდნენ: ლაშა ჭუბაბრია, ბექა ნაროზაული, ლუკა ტუმასიანი, გიორგი გულაშვილი, ლევან წიკლაური.

მეორე ადგილი: ნიკა თარალაშვილი, ილია ხატიაშვილი, გიგა მაზანაშვილი.

მესამე ადგილი: მიხეილ ბაღდასარიანი და გიორგი ბაღდასა-რიანი.

სპორტსმენები დაჯილდოვდნენ დიპლომებით, მედლებით, თასებით და სპორტული აღჭურვილობით, ხოლო მსაჯთა კო-ლეგია და მწვრთნელები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით.

COVID-19-ით დაავადებულთა და მათთან კონტაქტირებულთა იზოლაციისა და კარანტინის ვადები მცირდება

COVID-19-ით დაავადებულთა და მათთან კონტაქტირებულთა იზოლაციისა და კარანტინის ვადები მცირდება. სტრატეგიული დანიშნულების დაწესებულებებში და-საქმებული პირებისთვის, როგორიცა:

***სამედიცინო დაწესებულებები;**

***ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები;**

***შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და თავდაცვის სამინისტროების სისტემები;**

***სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური;**

***საქართველოს პროკურატურის სისტემა;**

***ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახური და ფინანსთა სამინის-ტროს საგამოძიებო სამსახური;**

COVID-19-ის ასიმპტომური და მსუბუქი მიმდინარეობისას, აღნიშნულ დაწესე-ბულებებში დასაქმებული პირებისთვის, პერსონალის დეფიციტის შემთხვევაში, დამ-საქმებლის მითითების გათვალისწინებით, იზოლაცია სრულდება ინფიცირების და-დასტურებიდან მე-6 დღეს. იზოლაციის დასრულებისთვის აუცილებელია სწრაფი ტესტის უარყოფითი პასუხი. ამასთან სიმპტომების ალაგებიდან გასული უნდა იყოს სულ მცირე 24 საათი. იზოლაციის დასრულებიდან მომდევნო 5 დღის განმავლობაში მკაცრად რეკომენდებულია ნიღბის გამოყენება.

ყველა სხვა ასიმპტომური ან მსუბუქი პაციენტებისთვის იზოლაცია სრულდება Covid-19-ის დადასტურებიდან 7 კალენდარული დღის შემდეგ. ამ შემთხვევაში, არ არის საჭირო ტესტის უარყოფითი პასუხი. ამასთან მსუბუქი სიმპტომების ალაგები-დან გასული უნდა იყოს სულ მცირე 24 საათი. იზოლაციის დასრულებიდან 5 დღე ნიღბის ტარება კვლავ მკაცრად რეკომენდირებულია.

საშუალო და მძიმედ მიმდინარე შემთხვევებისთვის იზოლაციის ვადა რჩება უცვლელი და განისაზღვრება დამადასტურებელი სინჯის აღებიდან მინიმუმ 10 კა-ლენდარული დღით. სახეზე უნდა იყოს მკვეთრად გაუმჯობესებული დინამიკა ბოლო 24 საათის განმავლობაში. იზოლაციის დასრულებიდან მომდევნო 5 დღე მკაცრად რეკომენდირებულია ნიღბის გამოყენება.

იზოლაციის დასრულების შესახებ გადაწყვეტილებას, პაციენტის ჯანმთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, იღებს მისი ოჯახის ექიმი.

კარანტინის ვადები მცირდება COVID-19-ით დაავადებულთან კონტაქტირებული, არავაქცინირებული და არასრულად ვაქცინირებული პირებისთვისაც. ამ შემთხვევა-ში, კარანტინის ვადა 8 დღის ნაცვლად განისაზღვრება 5 დღით. ამასთან ეძლევათ ნიღბის მოხმარების მკაცრი რეკომენდაცია მომდევნო 6-12 დღის ფარგლებში. იგივე ვრცელდება, ბუსტერ დოზის არმქონე პირებისთვის, თუ ვაქცინის მე-2 დოზის მიღე-ბიდან გასულია 90 დღეზე მეტი. ასევე კარანტინის აღნიშნული წესები ვრცელდება პირებზე, ვისაც კოვიდის ინფექციის გადატანიდან გაუვიდა 60 დღიანი პერიოდი.

შეგახსენებთ რომ, კარანტინს არ ექვემდებარებიან, თუმცა ეძლევათ ნიღბის მოხ-მარების მკაცრი რეკომენდაცია კონტაქტის შეწყვეტიდან მომდევნო 10 დღე:

***ბუსტერ დოზით ვაქცინირებულ პირებს;**

***სრულად ვაქცინირებულ პირებს, ვაქცინის მეორე დოზის მიღებიდან 14-90 დღის განმავლობაში;**

***ასევე პირებს, კოვიდის ინფექციის გადატანიდან 60 დღის განმავლობაში;**

***იზოლაციის და კარანტინის განახლებული ვადები 10 თებერვლამდე ინფიცირებუ-ლი და კონტაქტირებული პირებისთვისაც მოქმედებს.**

კორონავირუსის იმუნიზაციის პროცესი გრძელდება.

მასობრივი კამპანიის ფარ-გლებში ვაქცინაცია დღეს სოფელ ზემო ქედში ჩატარდა.

შეგახსენებთ, რომ კორონავი-რუსის ვაქცინაციის წახალისების 200 ლარიანი პროგრამა თებერ-ვალშიც გრძელდება. აღნიშნული

პროგრამით სარგებლობა ახლა უკვე 50 წლის და უფროსი ასაკის მოქალაქეებს შეუძლიათ.

ამავე ასაკობრივი ჯგუფის პი-რები ბუსტერ დოზით აცრის შე-მთხვევაში სახელმწიფოსგან 100 ლარს მიიღებენ.

როგორია ეპიდსიტუაცია კახეთის რეგიონში

კახეთის რეგიონში კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევები გაიზარდა. დაავა-დებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის კახეთის განყოფილების უფროსის ნელი ხიზანიშვილის თქმით, ბოლო 24 საათში ვირუსით ინფიცირების 1 101 ახალი შემთხვევა გამოვლინდა.

„კახეთის რეგიონში 10 თებერვლის მონაცემებით, ინფიცირების 1 101 ახალი შე-მთხვევა გამოვლინდა. დღის განმავლობაში აღებული ტესტების რაოდენობამ კი 3 576 შეადგინა. ინფიცირებულთა რაოდენობიდან ახმეტის მუნიციპალიტეტში - 66, გურჯაანში -242, დედოფლისწყაროში- 75, თელავში - 276, ლაგოდეხში - 103, საგა-რეჯოში-148, სიღნაღში-97 და ყვარელში -94 ახალი შემთხვევა გამოვლინდა.

რეგიონში ვირუსის გამოვლენიდან დღემდე ინფიცირებულთა საერთო რაოდე-ნობამ შეადგინა - 85 509, აქედან: ახმეტაში დაფიქსირებულია - 6 473 შემთხვევა, გურჯაანში -17 138, დედოფლისწყარში - 6 075, თელავში -19 457, ლაგოდეხში -10 099, საგარეჯოში -11 513, სიღნაღში -8 313 და ყვარელში - 6 441. ინფიცირებულთა რაოდენობა, რომელიც ამ ეტაპზე გადის მკურნალობას, შეადგენს 9 694. მათ შორის, 9 407 პირი დატოვებულია ბინაზე სამკურნალოდ, 55 ადამიანი მკურნალობს კოვიდ სასტუმროში, 232 იმყოფება კოვიდ კლინიკაში. რეგიონში დღემდე გამოჯანმრთელდა 75 364 პირი და გარდაიცვალა 451 ადამიანი ”,-განაცხადა ნელი ხიზანიშვილმა.

* * *

დედოფლისწყაროში კოვიდვითარება კვლავ მძიმეა. მუნიციპალიტეტის საზო-გადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ინფორმაციით, 7-10 თებერვლის მონაცემებით, კოვიდინფიცირებულთა სტატისტიკა ასე გამოიყურება: ინფიცირებულია 289 პირი, სტაციონარში იმყოფება 35 მოქალაქე, გარდაიცვალა 1 პირი. **„დღეში, საშუალოდ, კოვიდით ინფიცირების 70-75 შემთხვევა დასტურდება“**-ამბობს გაზეთ „შირაქთან“ დე-დოფლისწყაროს მთავარი ეპიდემიოლოგი ლალი ალადაშვილი.

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის თანამშრომლები მოქალაქეებს კოვიდრეგულაციების დაცვისა და ერთმანეთის გაფრთხილებისკენ მოუწოდებენ.

გაიზარდა თუ არა ტარიფები კომუნალურ გადასახადებზე?

გაორმაგებული გადასახადები და ხალხის პროტესტი

ბოლო რამდენიმე დღეა სოციალურ ქსელში ასობით მოქალაქე წერს, რომ კომუნალური გადასახადები საგრძნობლად, თითქმის ორმაგად გაეზარდათ. მოსახლეობის უკმაყოფილებას საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისია (სემეკი) განცხადებით გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყალმომარაგების ტარიფები არ გაზრდილა.

„კომისია საზოგადოების სწორი ინფორმირების მიზნით, კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ არ გაზრდილა ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების ტარიფები. 2022 წლის პირველი იანვრიდან ტარიფები არ შეცვლილა და ძალაშია კომისიის მიერ წინა პერიოდში მოქმედი სამომხმარებლო ტარიფები. ტარიფების ზრდა არ განიხილება“ - წერს სემეკი.

თბილისის შემთხვევაში, მოსახლეობის დიდი ნაწილი იანვარში დეკემბრის თვეში მოხმარებული ელექტროენერგიისა და წყლის მეორე ქვითარს მიიღებს, რომელიც ასახავს პირველი ქვითრის გაცემიდან თვის ბოლომდე დარჩენილი დღეების ხარჯებს. ცვლილება ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის (სემეკი) გადაწყვეტილებითაა გამოწვეული, რაც მრიცხველთა წაკითხვის ერთიან სისტემაზე გადასვლას გულისხმობს. შედეგად, მოსახლეობა კომუნალური მომსახურების ქვითარს ყოველი მომდევნო თვის პირველ რიცხვებში მიიღებს. აღსანიშნავია, რომ სემეკ-ის გადაწყვეტილება არ იწვევს ტარიფების ზრდას და ის მხოლოდ კომუნალური მომსახურების ქვითრების მიღების თარიღებს ცვლის.

რა ხდება რეგიონებში?

რეგიონებში გაზის ტარიფი გასულ წელს 6-დან 20 თეთრამდე გაიზარდა. 2021 წლის 1-ლი დეკემბრიდან არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის 1 კუბური მეტრი ბუნებრივი აირი 1.15 ლარი გახდა. ბიზნესისთვის გაზის ტარიფის გაზრდასთან დაკავშირებით განცხადება კომპანიებმა წინასწარ გაავრცელეს. „2021 წლის 1-ლი დეკემბრიდან შპს „ინტერ გაზის“ საცალო არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის 1 მეტრ კუბი ბუნებრივი გაზის ფასი განისაზღვრება 1.15 ლარით დღგ-ს ჩათვლით“ - აღნიშნული იყო „ინტერ გაზის“ განცხადებაში.

გასული წლის 1-ლი დეკემბრიდან გაზის ტარიფი გაზარდა შპს „სოკარ ჯორჯია გაზმა“ და „თელავ გაზმაც“. აქაც ტარიფის ცვლილება მხოლოდ საცალო არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებს შეეხოთ. **„ფასის კორექტირების აუცილებლობა მომსახურებასთან დაკავშირებული დანახარჯების გაზრდისა და ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებითაა განპირობებული. ამასთან, გაზის ფასი უცვლელი დარჩება პურის მწარმოებელი კომპანიებისათვის“**, - აღნიშნავდა „სოკარ ჯორჯია გაზი“ განცხადებაში. ცნობისათვის, „ინტერ გაზი“ ბუნებრივ აირს აწვდის ახალციხის და ასპინძის რაიონებს, „თელავი გაზი“ - თელავს და „სოკარ ჯორჯია გაზი“ დანარჩენ საქართველოს, თბილისის გარდა. აღსანიშნავია, რომ ტარიფის ცვლილება არ შეეხოთ რეგულირებად აბონენტებს, ანუ ფიზიკურ პირებს.

ამ თემასთან დაკავშირებით გაზეთი „შირაქი“ სოკარ ჯორჯია გაზის დედოფლისწყაროს სერვისცენტრის ხელმძღვანელს თემურ გოგილაშვილს დაუკავშირდა. როგორც მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ახალი წლიდან ბუნებრივ აირზე გადასახადი არ შეცვლილა და ის კვლავ უცვლელია. **„დღევანდელი მდგომარეობით, საყოფაცხოვრებო აირზე გადასახადი შეადგენს 0,56 ლ და ის არ შეცვლილა. სავარაუდოდ, რამდენადაც მე მაქვს ინფორმაცია, ჯერჯერობით ტარიფის ცვლილება არ იგეგმება. გასულ წელს მომხდარი ცვლილება შეეხო მხოლოდ არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებს, რომელთა გადასახადიც დღეს დღეობით 1.15 ლ განისაზღვრება.“**

რაც შეეხება ელექტროენერგიას. რეალურად, ელექტროენერგიაზე ტარიფი ჯერ კიდევ 2021 წლის პირველი იანვრიდან გაძვირდა: არასაყოფაცხვორებო მომხმარებელთათვის — 15 თეთრამდე, ხოლო საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის ფასსანმატმა 3,5 თეთრი შეადგინა. თუმცა, 2020 წლის ბოლოს, 2021 წლისთვის მთავრობამ სუბსიდია დააწესა - მაშინდელ და გაზრდილ ტარიფს შორის სხვაობას, იმ მომხარებლებისთვის, რომლებიც 300 კილოვატამდე ენერგიას ხარჯავენ თვიურად, მთავრობა ასუბსიდირებდა. მთავრობის მაშინდელი დათვლით, სუბსიდირება შეეხო მოქალაქეთა 95%-ს.

იმის გასარკვევად, თუ რა მდგომარეობაა ამ კუთხით დედოფლისწყაროში, დავუკავშირდით ენერგოპრო ჯორჯიას დედოფლისწყაროს სერვისცენტრის მთავარ ინჟინერსა და უფროსის მოვალეობის შემსრულებელს პაატა მენთეშაშვილს. მან გაზეთ „შირაქთან“ საუბარში განაცხადა, რომ ახალი წლიდან ტარიფი უცვლელი დარჩა. **„ტარიფი გაიზარდა მხოლოდ გასულ წელს. ამავდროულად, ტარიფის ზრდასთან ერთად, როგორც იცით, სახელმწიფომ დაიწყო ელექტრონერგიაზე ტარიფის სუბსიდირება. შესაბამისად, მოსახლეობამ არსებული ზრდა ნაკლებად იგრძნო. წელს, უკვე რადგან სახელმწიფო სუბსიდირება მოხსნილია, ტარიფი კი იგივე დარჩა, ვფიქრობ, ამით აიხსნება ის გარკვეული კითხვები, რაც გადასახადის თითქოს ზრდასთანაა დაკავშირებული. რეალურად, ყველაფერი ისევ იმ ტარიფებს ექვემდებარება, რაც აქამდე იყო როგორც კომერციული, ასევე არაკომერციული პირებისთვის“.**

ზემოთ აღნიშნულმა სუბსიდიის ღონისძიებამ, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის, კომუნალური გადასახდელების ფასი 3 თვით „გაანულა“, რამაც საშუალო ინფლაციაში, დაახლოებით 36-37%-ით პოვა ასახვა. ბიზნესისთვის ელექტროენერგიისა თუ ბუნებრივი აირის გაძვირება, საბოლოოდ, შესაძლოა ისევ მოსახლეობაზე აისახოს.

ფაქტია, რომ სუბსიდირება მხოლოდ დროებითი ინსტრუმენტი აღმოჩნდა ვითარების შესამსუბუქებლად და, ჯამში, გაძვირების ეფექტმა მაინც იმოქმედა როგორც ბიზნესის, ისე მოქალაქეთა ყოფაზე.

სიახლე კი აღარაა, რომ გადასახადების ზრდა, არა მხოლოდ ჩვენთან, მთელ მსოფლიოში მტკივნეულად აღიქმება, მდიდარ ქვეყნებშიც კი.

სარედაქციო ფოსტა

მოსახლეობა დამატებითი საწოლფონდის მოლოდინში

ცოტა ხნის წინ, რედაქციაში ზარი შემოვიდა. დაგვიკავშირდნენ მკითხველები, ცენტრს დაშორებული სოფლებიდან. ისინი ერთ ძალიან მნიშვნელოვან პრობლემაზე ამახვილებდნენ ყურადღებას.

საქმე საავადმყოფოს საწოლფონდს ეხება. დღესდღეობით კოვიდცენტრად გადაკეთებულ საავადმყოფოს უჭირს არაკოვიდიანი პაციენტებისთვის დამატებითი ადგილების მოძიება. ამიტომ, პაციენტების გადამისამართება ხშირად სხვა მუნიციპალიტეტების კლინიკებში ხდება. მოსახლეობა წუხს, რომ მათ დიდი მანძილის გავლა უწევთ, რაც უმეტეს წილად ხარჯებთან და გარკვეულ რისკებთანაცაა დაკავშირებული, რა თქმა უნდა, მათი ჯანმრთელობის სიმძიმიდან გამომდინარე. მოსახლეობა დამატებითი საწოლფონდის გამოყოფას ითხოვს, რათა მოხდეს დამატებითი საწოლების გამოყოფა იმ ადამიანებისთვისაც, ვისაც კოვიდი არ აქვთ და, უბრალოდ, უახლოესი კლინიკის მომსახურება სასწრაფოდ სჭირდებათ.

გაზეთი „შირაქი“ ამ საკითხთან დაკავშირებით დედოფლისწყაროს საავადმყოფოს ხელმძღვანელს, ხათუნა აგლაძეს გაესაუბრა. კითხვაზე, ხომ არ იგეგმება უახლოეს მომავალში საწოლფონდის დამატება არაკოვიდიანი პაციენტებისთვის, ხათუნა აგლაძე გვპასუხობს, რომ **ასეთი ცვლილების შეტანა კოვიდკლინიკის საწოლფონდში არ იგეგმება. მიზეზად კი ქვეყანაში არსებულ კოვიდ სიტუაციასა და სამედიცინო პერსონალის სიმცირეს ასახელებს. „ჩვენ ჯერ- ჯერობით არ გვყავს იმ რაოდენობის პერსონალი, რომლებიც შეძლებენ როგორც კოვიდიანი, ისე არაკოვიდიანი პაციენტების მიღებასა და მომსახურებას. თანაც, სამწუხაროდ, არსებული კოვიდმდგომარეობა არ გვაძლევს ძველი რეჟიმით ფუნქციონირების საშუალებას. იმედი გვაქვს, რომ კოვიდს მალე დავამარცხებთ და შემდგომ უკვე აქტიურად გავაგრძელებთ თითოეული იმ პაციენტის მიღებას, რომლებიც საჭიროებენ სამედიცინო დახმარებას. მესმის მოსახლეობის, მაგრამ ამ ეტაპზე მდგომარეობა უცვლელია“.**

დედოფლისწყაროს საავადმყოფოს ხელმძღვანელის, ხათუნა აგლაძის განმარტებით, 2020 წლის 2 დეკემბრიდან დედოფლისწყაროს საავადმყოფო კოვიდ კლინიკად გადაკეთდა, რის შემდეგაც ინფიცირებულ პაციენტებს მთელი საქართველოდან იღებდნენ. მას შემდეგ, რაც საავადმყოფო კოვიდ-კლინიკად გადაკეთდა, აქ ჯერ 25 პაციენტის მიღება იყო შესაძლებელი, შემდეგ 35, ახლა კი ერთდროულად 40-ზე მეტ კოვიდ პაციენტს მკურნალობენ. აღსანიშნავია, რომ დედოფლისწყაროს კოვიდკლინიკამ დღემდე ასობით კოვიდ ინფიცირებულის განკურნება შეძლო. ცოტა ხნის წინ დედოფლისწყაროს კლინიკამ ჟანგბადის საწარმოს დანადგარებიც მიიღო, რის შემდეგაც მძიმე პაციენტებისთვის საჭირო სამედიცინო ჟანგბადის ადგილზე წარმოება გახდა შესაძლებელი.

იმისთვის, რომ სამედიცინო პერსონალმა კვლავ ძველ რეჟიმში გააგრძელოს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ამისათვის საჭიროა დავიცვათ კოვიდ რეგულაციები, ვატაროთ პირბადე, დავიცვათ სოციალური დისტანცია, მაქსიმალურად ავარიდოთ თავი ხალხმრავალ შეკრებებს და ყველაზე მთავარი - ჩავიტაროთ ვაქცინაცია, სხვებისა და საკუთარი სიცოცხლის დასაცავად!

გვერდი მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ჩემი არჩევანი გამართლებულია

ძვირფასო მკითხველო, წანამძღვარი-დანვე ხვდებით, ალბათ, რომ დღეს ჩვენ საუბარი გვექნება მასწავლებელზე, რომელიც ჩვენი მომავლის ფუძე-საძირკვლის ჩამყრელია და რომლის განათლებას, პროფესიონალიზმსა და პასუხისმგებლობაზე დგას ქვეყნის მომავალი. ეს არ არის ლიტონი სიტყვები, ეს - ჭეშმარიტებაა.

და აი, მე დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის მეორე კორპუსის მეორე სართულზე მესამე კლასის საკლასო ოთახის ზღურბლთან ვდგავარ. ბოლო გაკვეთილის დამთავრებას სულ რამდენიმე წუთი აკლია. ვაღებ კარს, რომელსაც აწერია: III კლასი, მასწავლებელი მანანა მახარობლიშვილი. გამარჯობათ, ბავშვებო! - ვესალმები. გაგიმარჯოთ!- ფეხზე წამომდგრები ერთხმად მპასუხობენ. კლასში 18 ბავშვი ირიცხება, მაგრამ, კოვიდპანდემიის გამო, ერთი ნაწილი ონლაინ-რეჟიმზეა გადასული. დამსწრეთაგან ვაჟები ჭარბობენ. მიკითხვ-მოკითხვის შემდეგ ვეკითხები: - აბა, ვის უფრო მეტად უყვარს მანანა მასწავლებელი? მე! მე!-არ აცდიან პასუხს ერთმანეთს. რატომ?- კეთილია! კარგია! ბევრ რამეს გვასწავლის! თბილია! ლამაზია!- გულწრფელი ემოციებით გადმოსცემენ გულში ნადებს. ბავშვებმა ისიც იციან, რომ საახალწლო ზეიმის წინ, 23 დეკემბერს, მათ საყვარელ მანანა მასწავლებელს განათლების სამინისტროსგან გადაეცა სიგელი და წოდება **„საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი“.** სწორედ ეს იზეიმეს 23 დეკემბერს დედოფლისწყაროს რესურცენტრის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად, ბევრი ლექსი და სიმღერაც მიუძღვნეს, უფროსებისაგან მანანა მასწავლებლის მისამართით ნათქვამი ბევრი საქებარი სიტყვაც მოისმინეს და ეს დღე სამუდამოდაც დაიმახსოვრეს. დაჯილდოების ცერემონიალს ჩვენი რედაქციის წარმომადგენელიც ესწრებოდა და ინფორმაცია ამის თაობაზე გაზეთის ფურცლებიდან უკვე მოგაწოდეთ. ცხადია, ეს უმაღლესი ჯილდო პროფესიაში ღირსეულებს და გამორჩეულებს ენიჭებათ, მაგრამ დღეს გვინდა, უფრო ახლოს გაგაცნოთ ქალბატონი მანანა, ვინ არის, საიდან მოვიდა, რა გააკეთა, როგორია, როგორც მოქალაქე, როგორც ოჯახის დედა, რას ფიქრობს, რა მიზნები აქვს...

მანანა მახარობლიშვილი 1949 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანში დაიბადა. მამა-ივანე მახარობლიშვილი ვეტექიმი გახლდათ. დედა - თამარ ზუბადალაშვილი კი დიასახლისი და სამი ვაჟის და ერთი ქალიშვილის გაზრდა-აღზრდით იყო დაკავებული. მანანა, ოჯახის მეორე შვილი და ერთადერთი ქალიშვილი, სულ ყურადღების და ალერსის „საგანი“ იყო. თავადაც იმსახურებდა-მშვიდი, გაწონასწორებული, ბეჯითი და დამჯერი ბავშვი იყო, კარგად სწავლობდა და ქცევითაც მაგალითს აძლევდა თანატოლებს. კლასში პირველ მოსწავლედ ითვლებოდა და ყველა საგანს, თითქმის, ერთნაირი სიძლიერით ფლობდა. ამიტომ, ბევრი მასწავლებელი ფიქრობდა, რომ მის კვალს გაჰყვებოდა.

-ქალბატონო მანანა, როგორ მიიღეთ გადაწყვეტილება თქვენი მომავალი პროფესიის არჩევისას?

-ყველა საგანს კარგად ვსწავლობდი, მაგრამ მყავდა გამორჩეულად საყვარელი მასწავლებელი მათემატიკაში ლამარა გოგაშვილი და ფიზიკაში ელიზა გელაშვილი. მათმა სიყვარულმა, მათნაირ ადამიანად ჩამოყალიბების სურვილმა, პედაგოგობა გადამაწყვეტინა, ვიწრო სპეციალობა კი ჩემი უმცროსი ძმის დამსახურებაა. მე რომ სკოლას ვამთავრებდი, ჩემი ძმა სკოლაში შესასვლელად ემზადებოდა. მას მე ვამეცადინებდი და იმდენად მომწონდა ეს პროცესი, რომ დაწყებითი კლასების მასწავლებლობა გადავწყვიტე, რამაც ბევრი გააოცა, რადგან უფრო „პრესტიჟული“ საგანიც შემეძლო ამერჩია, თუმცა, მე დღეს ძალიან კმაყოფილი ვარ და მიმაჩნია, რომ ჩემი არჩევანი გამართლებულია. ყველა საგანი ზედნაშენია იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე, რასაც მოსწავლე დაწყებითი სწავლების წლებში დააგროვებს. როგორც მყარი შენობისთვის ფუნდამენტის, საძირკველის ჩაყრას აქვს დიდი მნიშვნელობა, ისეა აქაც. ამიტომ, დიდი პასუხისმგებლობა აკისრია დაწყებითი სწავლების მასწავლებელს.

სწორედ ამ სულისკვეთებით ჩააბარა მანანამ მაშინდელი ა.პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაწყებითი სწავლების ფაკულტეტზე და წარჩინებითაც დაამთავრა იგი. განუმეორებელი და დაუვიწყარი იყო სტუდენტობის წლები, რომელსაც უფრო მეტ ხიბლს მატებდა სიყვარული. დედოფლისწყაროელი ნოდარ შანშიაშვილი ფესვებით ქვემო მაჩხაანს უკავშირდებოდა. მისი მშობლები-ნიკოლოზ შანშიაშვილი და მარო შანშაშვილი ქვემო მაჩხაანში დაიბადნენ და გაიზარდნენ, ოჯახის შექმნის შემდეგ კი დედოფლისწყაროში (მაშინდელ წითელწყაროში) დასახლდნენ და ნოდარიც პაპა-ბებიებთან ხშირად სტუმრობდა ამ სოფელს. სწორედ იქ დაიწყო ნოდარის და მანანას ნაცნობობა, დაახლოვება და სიყვარული, რომელიც თბილისში, სტუდენტობის წლებში უფრო ლაღი და თავისუფალი გახდა. ნოდარი თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე სწავლობდა. ქიზიყური იუმორით და ფანტაზიით სავსე ყმაწვილი თავბრუს ახვევდა ქალიშვილს უამრავი სიურპრიზით. ყვაოდა მათი სიყვარული, რომელიც ქორწინებით დაგვირგვინდა 1971 წელს. მას მერე 50 წელი გავიდა. ეს მნიშვნელოვანი თარიღიც ლამაზად აღნიშნა ოჯახმა. ბედნიერი მშობლები არიან ნოდარი და მანანა: პაპის მოსახელე ნიკოლოზი, რომელსაც შინაურობაში ყველა ნუკრის ეძახის, მამის კვალს გაჰყვა. ის პროფესიით მშენებელ-ეკონომისტია და დღეს, მამასთან ერთად, სამშენებლო ბიზნესითაა დაკავებული. რამდენიმე წელი რაიონს ხელმძღვანელობდა - ეკავა საკრებულოს თავმჯდომარის და გამგებლის პოზიციები. ქალიშვილი-მარინა, დედისმხარდამხარ, მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება. ის დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგია, წამყვანი მასწავლებლის სტატუსი აქვს და ბავშვების ერთ-ერთი საყვარელი პედაგოგია. მესამე შვილი - მირანდა იურისტია. თბილისში ცხოვრობს და თიბისი ბანკში მუშაობს. სამივე დაოჯახებულია. 6 შვილიშვილის და სამი შვილთაშვილის პატრონები არიან და ხარობენ მათით.

-ქალბატონო მანანა, მოგვიყევით თქვენს მიერ განვლილი შრომითი საქმიანობის შესახებ.

-22 წლის ვიყავი, როდესაც ოჯახი შევქმენი და მუდმივ საცხოვრებლად დედოფლისწყაროში დავფუძნდი. რამდენიმე ხანს რაიონულ არქივში ვმუშაობდი და სკოლაში ადგილის განთავისუფლებას ველოდი. ადვილი არ იყო მაშინ სკოლაში მოხვედრა. პირველი პედაგოგიური ნათლობა სოფელ მაზოვკის კლასკომპლექტში შედგა, სადაც ქართული ენის მასწავლებლად დავინიშნე. კლასში არაქართველი ბავშვები იყვნენ და სირთულე ის გახლდათ, რომ მათ ქართული საერთოდ არ იცოდნენ. კურატორად ახლანდელი ხორნაბუჯის, მაშინ სოფელ წითელწყაროს, რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელი მარიამ მჭედლიშვილი დამინიშნეს, შესანიშნავი პედაგოგი და ადამიანი იყო. იმდენი შევძელით, რომ პირველივე სემესტრში (სექტემბრიდან იანვრამდე), ბავშვები ქართულად ამეტყველდნენ და ინტერესიც გაუჩნდათ. მაშინ მივხვდი, რამდენი შეუძლია მიზანსწრაფულ და თავდადებულ შრომას. მერე ცოტა ხანს სკოლა-ინტერნატში ვმუშაობდი. ამასობაში, მეორე სკოლიდან პირველ სკოლაში გადაიყვანეს რაიონში უკვე სახელმოხვეჭილი მასწავლებელი ცისანა მჭედლიშვილი და მისი კლასი მე ჩამაბარეს. ეს იყო დიდი გამოწვევა. ცისანას მერე მუშაობის გაგრძელება ადვილი არ იყო. ღამეებს ვათენებდი ისე ვემზადებოდი თითოეული გაკვეთილისთვის. მესამე კლასში შევედი და ორი წელი საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ თამამად ამეყვანა ახალი კლასი და პირველი კლასიდან ჩავდგომოდი მათ სათავეში. მას მერე 45 წელი გავიდა. ბევრი პირველკლასელის გაბრწყინებულ თუ შეშინებულ თვალებში ჩავიხედე, პირველი ზარის წკრიალზე დედის კალთას მოშორებული ბავშვის განცდებით ვიცხოვრე... ბედნიერებაა, იმ უსუსური ბავშვიდან ჩამოაყალიბო და გამოძერწო მოსწავლე, რომელიც მზად არის შემდეგი საფეხურის სწავლებას წელგამართული შეუდგეს. ახალმა საუკუნემ, ტექნოლოგიების განვითარებამ ახალი გამოწვევები მოიტანა. ბავშვები გონებრივად უფრო ადრე ვითარდებიან, ვიდრე ფიზიკურად. ამიტომ, მშობლებს ჰგონიათ, რომ ბავშმა თუ ლექსები, თვლა-ანგარიში და ასოები იცის, ის მზად არის სასკოლედ. არადა, უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვი სოციალურად მოემზადოს სკოლისთვის, რათა გააზრებული ჰქონდეს მოსწავლის უფლება-მოვალეობები, გამოიმუშაოს მოსმენის და მოთმენის უნარ-ჩვევები. ეს ყველაფერი საბავშვო ბაღსა და ოჯახში უნდა ხდებოდეს. დღეს საბავშო ბაღი ბავშვის სწავლა-განათლების პირველი საფეხურია და, სასურველია, ყველა ბავშვმა გაიაროს იგი. სკოლის, სწავლის, მასწავლებლის სიყვარული ჩვენ, დაწყებითი სწავლების პედაგოგებმა უნდა ჩავუნერგოთ ბავშვებს.

- არის განსხვავება საგნის მასწავლებელსა და დაწყებითი სწავლების მასწავლებელს შორის?

-თუ კლასის დამრიგებელი არ ხარ, განსხვავება, რა თქმა უნდა, არსებობს. საგნის მასწავლებელი, ასე თუ ისე, შემოფარგლულია გარკვეულ ჩარჩოში. დაწყებითებში მასწავლებლის და მოსწავლის ურთიერთობა უფრო მჭიდროა, შენ მისთვის მეორე დედა ხარ, უნდა უყვარდე და სჯეროდეს შენი, მზრუნველობას უნდა გრძნობდეს და შენი დაცვის იმედი ჰქონდეს. რაც შეეხება სადამრიგებლო მუშაობას, ეს სპეციალური პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს. სადამრიგებლო საათი კვირაში ერთხელ ტარდება და მას, ძირითადად, აღზრდის ფუნქცია აქვს.

ეს რომ მანანა მასწავლებლის ლიტონი სიტყვები არ არის და მისი ცხოვრების და შრომის ნორმატივია, ამაზე მისი მოსწავლეები და მშობლები ლაპარაკობენ: „მანანა მასწავლებელო, მე ძალიან მიყვარხარ და მინდა, მოგილოცოთ ჯილდოს მონიჭება-ძალიან გახარებული ვარ, რომ ჩემი მასწავლებელი ხართ“, - **ნანა ბოსტოღანაშვილი.**

> **„მოსწავლე ჯურჯელი კი არ არის, რომელიც უნდა შეავსო, არამედ ჩირაღდანია, რომელიც უნდა აანთო!“**
> **ლევ სობოლევი**

სიყვარულის და სიხარულის გამოსახატავად, გულებით და ყვავილებით გაფორმებული არაერთი მიძღვნა და სამადლობელი ბარათი ინახება მანანა მასწავლებლის პირად არქივში განვლილი 45 წლის მანძილზე. მოვუსმინოთ ნიკოლოზ ქადაგიძის დედას, **ნინო ნასრაშვილს**: „სამი წელია, მანანა მასწავლებელთან ურთიერთობა გვაქვს და ვრწმუნდები, ჩემს შვილს როგორ გაუმართლა, მასთან რომ მოხვდა. ის იშვიათი ადამიანია, განათლებული, თბილი, გაწონასწორებული, თავდაუზოგავი. მისი დამსახურებაა, რომ ჩემი შვილი ერთ-ერთი საუკეთესოა კლასში, ძალიან უყვარს წიგნი, კითხულობს საბავშვო ბიბლიას, იყენებს მის მცნებებს და შეგონებებს ცხოვრებაში. მშობელთა სახელით გულწრფელად ვულოცავ ქალბატონ მანანას ამ უმაღლეს ჯილდოს, ჯანმრთელობას და კვლავაც წარმატებულ საქმიანობას ვუსურვებ“.

-რა არის თქვენთვის სკოლა?

-სკოლა ჩემი ოჯახია, ურომლისოდაც ყოფნა ვერც კი წარმომიდგენია. თითოეული ჩემი ნამოწაფარის წარმატება ისევე მახარებს, როგორც საკუთარი შვილებისა, ისინი არც თუ ისე ცოტანი არიან: ჩემი მარინათი დავიწყებ, თუ კადნიერებაში არ ჩამომართმევთ, რადგან ის ჩემი პირველი გამოშვებაა, მის გვერდში დავაყენებ ხათუნა აბაშიძეს, ნინო იაკობიშვილს, თამუნა გიგოლაშვილს, თიკო ტეტელოშვილს, ეკა ხატიაშვილს, სოფო კოკილაშვილს, ხათუთა და ბუბა ცისკარაულებს, და მრავალ სხვას, რომლებიც წარმატებულები არიან თავის პროფესიასა თუ საქმიანობაში. წელს ჩვენს სკოლას ჩემი კლასი ამთავრევს. ისეთი მოსწავლეები არიან ნიკა ნიკვაშვილი, ანა ნასრაშვილი, ნიკა კოხტაშვილი, ბარბარე ცისკარაული, რომ მათ წარმატებებში ეჭვი არ მეპარება. ამ შედეგით ვხვდები, რომ ჩემი არჩევანი გამართლებულია და ეს მაბედნიერებს.

-რა არის თქვენი სკოლის სადღეისო გამოწვევა?

-ზოგადად ყველგან და ჩვენთანაც მოსწავლეთა კონტიგენტი შემცირებულია. ეს ნაწილობრივ მიგრაციამ და მცირეშვილიანობამ გამოიწვია, ნაწილობრივ კი იმანაც, რომ ადრე ქალაქი ტერიტორიულ ზონებად იყო დაყოფილი და ჩვენი ზონის ბავშვები ჩვენს სკოლაში დადიოდნენ. დიდი ხანია ეს გაუქმდა. ახლა, ვისაც სად უნდა იქ სწავლობს. რა თქმა უნდა, ეს თავისუფლება მათი უფლებაა, მაგრამ, რადგან ჩვენი სკოლა ტერიტორიულად ქალაქის ცენტრში არ მდებარეობს, ეს გარკვეულ გავლენას ახდენს. კიდევ ერთ რამეს ვნატრობ: როდის მოვიშორებთ შეშის ღუმელებს მეორე კორპუსში და პირველი კორპუსივით, ჩვენც ცენტრალური გათბობით ვისარგებლებთ, რადგან ერთნაირი ტემპერატურის დაჭერა მთელს საკლასო ოთახში გართულებულია. გვპირდებიან, ველოდებით, იმედს არ ვკარგავთ.

სურვილის ასრულებას ვუსურვებ და ვემშვიდობები ქალბატონ მანანას, რომელმაც ყველა პედაგოგიური საფეხური წარმატებით გაიარა: - იყო ჯერ „საუკეთესო მასწავლებლის“ ტიტულის მფლობელი, შემდეგ „უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი“, ახლა „უფროსი მასწავლებლის“ სტატუსი და „რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის“ წოდება აქვს. კვლავაც სიცოცხლე, ჯანმრთელობა და წარმატებები ვუსურვოთ მანანა მახარობლიშვილს პირად ცხოვრებასა და საყვარელ საქმიანობაში.

პ.ს ისე, როგორც მთელ ქვეყანაში, მანანა მასწავლებლის მესამე კლასელებმაც ჩაატარეს „წიგნის ხმამამაღლა კითხვის“ კვირეული და მრავალი საინტერესო მოთხრობა და ლექსი წაიკითხეს.

ცნობისთვის: „დამსახურებული მასწავლებლის“ წოდების მისაღებად კანდიდატურებს სკოლა წარადგენს მუნიციპალიტეტის რესურსცენტრში, რესურსცენტრი მუნიციპალიტეტის ნაკრებიდან ამოარჩევს თავის კანდიდატურებს და წარუდგენს განათლების სამინისტროს. სამინისტრო უფლებამოსილია შეარჩიოს და მიანიჭოს წოდება საუკეთესოთა შორის საუკეთესოს.

ნაირა გორაშვილი

რატომ გაძვირდა მსოფლიოში ცხოვრება?

სასურსათო პროდუქტებიდან, საყოფაცხოვრებო მნიშვნელოვან ნივთებამდე - მთელს მსოფლიოში ცხოვრების ხარჯები მკვეთრად იზრდება.

გლობალური ინფლაციის ტემპმა, რომლითაც ფასები იზრდება, შეიძლება ითქვას, რომ 2008 წლის შემდეგ უმაღლეს დონეს მიაღწია.

რა განაპირობებს ასეთ სიძვირეს? წარმოგიდგენთ რამდენიმე მიზეზს.

1. ენერგორესურსების და საწვავის გაძვირება

პანდემიის დასაწყისში ნავთობის ფასები დაეცა, მაგრამ მას შემდეგ მოთხოვნის გაზრდასთან ერთად, ფასებმაც მკვეთრად იმატა.

შეერთებულ შტატებში თითო გალონი ბენზინი ამჟამად საშუალოდ 3,31 დოლარი, რაც ერთი წლის წინ 2,39 დოლარი იყო. მსგავსი სიტუაციაა დიდ ბრიტანეთში და ევროკავშირში. ასევე მოიმატა გაზის ფასმა,რასაც ხარჯების გაზრდაც მოჰყვა.

2. საქონლის დეფიციტი

პანდემიის დროს ბევრ ყოველდღიურ საქონელზე ფასები გაიზარდა. გასული წელს, დიდი ლოკდაუნის დროს ქვეყნების მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დანაზოგები სახლის რემონტში და სხვა საჭიროებებში დახარჯვა.

უამრავი მწარმოებელი კვლავაც იბრძვის არსებობისთვის, ბევრი კი უბრალოდ, დაიხურა. ამან გამოიწვია უამრავი ნივთის დეფიციტი, მათ შორის, როგორიცაა პლასტმასი, ბეტონი და ფოლადი, გაიზარდა მათი ფასებიც. 2021 წელს დიდ ბრიტანეთში ხე-ტყე 80%-ით ძვირი ღირდა, ვიდრე რეგულარული ფასი პანდემიამდე.

აშშ-ს მსხვილმა საცალო მოვაჭრეებმა Nike-მდა Costco-მ მიწოდების ჯაჭვის მაღალი ხარჯების გამო გაზარდეს ფასები. აქვე უნდა აღინიშნოს მიკროჩიპების დეფიციტიც, რომლებიც მანქანების, კომპიუტერების და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების სასიცოცხლო მნიშვნელობის კომპონენტებია. ყველაფერმა ამან კი დიდი გავლენა იქონია მსოფლიო ბაზარზე არსებულ ფასებზე.

3. ტრანსპორტირების ფასი

გლობალური გადამზიდავი კომპანიები, რომლებიც აგზავნიან საქონელს მთელს მსოფლიოში, ახლაც გადატვირთულია მზარდი მოთხოვნის გამო. ეს ნიშნავს, რომ საცალო მოვაჭრეებმა გაცილებით მეტი უნდა გადაიხადონ ამ ნივთების მაღაზიებში მოსატანად. შედეგად, ფასები გაეზარდა მომხმარებელს.

აზიიდან ევროპაში ერთი 40-ფუტიანი კონტეინერის გაგზავნა ამჟამად 17 000 დოლარი ღირს - 10-ჯერ მეტი, ვიდრე ერთი წლის წინ, როდესაც ღირდა 1 500 ფუნტი. ამასთან ახლდა ავიაბილეთის გაზრდილი ტარიფი და ევროპაში სატვირთო მანქანების მძღოლების ნაკლებობა.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ დეკემბერში, როდესაც შეერთებულმა შტატებმა თავის პორტებში რეკორდული საცობების დაძლევა დაიწყო, სატრანსპორტო შეფერხებები შემსუბუქდა. მაგრამ Omicron-მა და Covid-ის მომავალი ვარიანტების გაჩენამ შეიძლება გააუქმოს ეს მიღწევები.

4. ხელფასის ზრდა

პანდემიის დროს ბევრმა ადამიანმა დატოვა სამსახური ან შეიცვალა სამუშაო. აშშ-ის შრომის დეპარტამენტის მონაცემებით, ოთხ მილიონზე მეტმა ადამიანმა დატოვა სამსახური აპრილში, რაც რეკორდული მაჩვენებელია. შედეგად, ფირმებს უჭირთ ისეთი კადრების დაქირავება, როგორიცაა მძღოლები, კვების გადამამუშავებლები და მიმტანები რესტორნებში. აშშ-ს 50 მსხვილი საცალო ვაჭრობის გამოკითხვამ აჩვენა, რომ მათ 94%-ს უჭირს ვაკანსიების შევსება. ამის გამო კომპანიები დადგნენ რეალობის წინაშე - მათ უნდა გაზარდონ ხელფასი ან შესთავაზონ პრემიები თანამშრომლებს. მაკდონალდსი და ამაზონი გვთავაზობენ სამუშაოს ბონუსებს 200-დან 1000 დოლარამდე.

დამსაქმებლებისთვის განკუთვნილი ეს დამატებითი ხარჯები ისევ მომხმარებლებს ანვება კისერზე.

5. კლიმატი

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ექსტრემალურმა ამინდმა ხელი შეუწყო ინფლაციას. მსოფლიო ნავთობის მარაგებს ქარიშხალი „იდა“ და„ნიკოლასი“ დაატყდა, რომელმაც მექსიკის ყურე გაიარა და აშშ-ს ნავთობის ინფრასტრუქტურა დააზიანა.

მიკროჩიპებზე მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული პრობლემები კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც გასულ წელს ზამთრის ძლიერი ქარიშხლის გამო, ტეხასის დიდი ქარხნები დაიხურა.

მას შემდეგ რაც მსოფლიოს უმსხვილეს მწარმოებელს, ბრაზილიას თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში ყველაზე საშინელი გვალვის შემდეგ, ცუდი მოსავალი ჰქონდა, მსოფლიო ბაზარზე აიწია ყავის ფასმაც.

6. საფაჭრო ბარიერები

ფასებს ასევე უფრო ძვირი იმპორტი ზრდის. Brexit-ის ვაჭრობის ახალმა წესებმა, 2021 წლის პირველ ნახევარში ევროკავშირიდან დიდ ბრიტანეთში იმპორტი დაახლოებით მეოთხედით შეამცირა. ამას დაემატა ცალკე, აშშ-ს იმპორტის გადასახადები ჩინურ საქონელზე, რაც საბოლოოდ მყიდველისთვის გაზრდილი ფასი აღმოჩნდა.

ჩინურმა სატელეკომუნიკაციო გიგანტმა Huawei-მ გასულ წელს განაცხადა, რომ 2019 წელს კომპანიის მიმართ დაწესებული აშშ-ის სანქციები ამერიკელ მომწოდებლებზე და მომხმარებლებზე გავლენას ახდენდა.

7. მხარდაჭერის პროგრამების დასრულება, რომლებიც პანდემიის დროს მოქმედებდა

მთავრობები მთელს მსოფლიოში ეტაპობრივად წყვეტენ ბიზნესისთვის გაწეულ მხარდაჭერას. პანდემიის დროს მთელ მსოფლიოში გაიზარდა სახელმწიფო ხარჯები და სესხები. ამან გამოიწვია უფრო მაღალი გადასახადები, ადამიანებს არსებობა გაუჭირდათ, ხოლო უმეტესობისთვის ხელფასი იგივე დარჩა.

ზოგიერთი ეკონომისტი ვარაუდობს, რომ როდესაც მხარდასაჭერი პროექტები დასრულდება, ინფლაცია მთელს მსოფლიოში კიდევ უფრო გაიზრდება.

წყარო - BBC

„ფეისბუქი“ და ინსტაგრამი“ შესაძლოა, ევროპაში დაიხუროს

“Facebook” და „instagrami” შესაძლოა, მთელ ევროპაში დაიხუროს. ამის შესახებ დამფუძნებელმა კომპანიამ Meta განაცხადა.

საქმე ეხება მონაცემთა ევროპულ რეგულაციას, რომელიც უფლებას არ აძლევს Meta-ს კომპანიას, რომელიც ადრე Facebook-ის სახელით იყო ცნობილი, გადაიტანოს, შეინახოს და დაამუშავოს ევროპელების მონაცემები აშშ-ში დაფუძნებულ სერვერებზე.

აშშ-ის ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიის ყოველწლიურ ანგარიშისას, Meta-მ განაცხადა, რომ თუ ახალი ჩარჩო არ იქნა მიღებული და კომპანია ვეღარ გამოიყენებდა შეთანხმებების ამჟამინდელ მოდელს, სავარაუდოდ, კონტინენტიდან წასვლა მოუწევდა.

„მეტამ“ განაცხადა, რომ ქვეყნებს შორის მომხმარებლის მონაცემების დამუშავება გადამწყვეტია ბიზნესისა და რეკლამის მიზნებისთვის.

„თუ ჩვენ არ შეგვიძლია მონაცემთა გადაცემა ქვეყნებსა და რეგიონებს შორის, მათ შორის, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, ან თუ შეზღუდული გვაქვს მონაცემების გაზიარება ჩვენს პროდუქტებსა და სერვისებს შორის, ამან შეიძლება გავლენა იქონიოს ჩვენი სერვისების მიწოდების უნარზე, ჩვენს მიწოდებაზე”,- ნათქვამია განცხადებაში.

„მეტას“ განმარტებით, იმედოვნებენ, რომ შეძლებენ ახალ შეთანხმებას წელს მიაღწიონ, მაგრამ თუ ეს ასე არ მოხდა, „ჩვენ, სავარაუდოდ, ვერ შევთავაზებთ ჩვენს უამრავ მნიშვნელოვან პროდუქტს და სერვისს, მათ შორის Facebook-სა და Instagram-ს, ევროპაში”,- აცადებენ კომპანიაში.

ევერესტმა 2000 წლის განმავლობაში დაგროვებული ყინული 30 წელიწადში დაკარგა



ჰიმალაიზე პლანეტის ყველაზე მაღალი მყინვარებია, თუმცა ისინი დაზღვეულნი არ არიან კლიმატის იმ ცვლილებებისგან, რომელიც დედამიწაზე უკვე წლებია მიმდინარეობს.

მკვლევართა აზრით, უკვე რამდენიმე ათწლეულია, რაც ყოველ წელს გლობალური დათბობის გამო, ყინულის დიდი მასა იკარგება. ევერესტის სამხრეთ ნაწილმა, რომელიც ზღვის დონიდან 8 000 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ,სულ რაღაც სამ ათეულ წელიწადში 2000 წლის განმავლობაში დაგროვებული ყინული დაკარგა. ამის შესახებ Maine-ის უნივერსიტეტის მკვლევრებმა განაცხადეს.

მათივე ინფორმაციით, მომდევნო წლების განმავლობაში მოსალოდნელია, რომ კიდევ უფრო მეტი ყინული დადნება, ამიტომაც, მთასვლელებისთვის ევერესტზე ასვლა იქნება უფრო რთული და სახიფათო.

მეცნიერები ამბობენ, რომ ყინულის ზედაპირმა თავისი სტრუქტურა შეიცვალა და დაკარგა უნარი, რომ გაუძლოს მზის რადიაციას, რაც მის სწრაფ დნობას იწვევს.

„კლიმატური პროგნოზების მიხედვით, დათბობა და მყინვარული მასის კლება გაგრძლდება”, - ამბობს კვლევის ავტორი, ლაციოქიმიკოსი მარიუშ პოტოკი.

გამოცემა independent მკვლევრებზე დაყრდნობით წერს, რომ ბოლო 25 წელიწადში მყინვარი დაახლოებით 55 მეტრით დათხელდა.

„მასობრივი ტერორის მსხვერპლთა ერთ-ერთ სამარხში 29 ადამიანის ნეშტია ნაპოვნი“ - IDFI

IDFI-ის ინფორმაციით, ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიისა და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მოწვევით, პოლონეთის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის (IPN) დელეგაცია 2022 წლის 24 იანვრიდან აწარმოებს აჭარაში კიდევ ერთი, რიგით მეექვსე მასობრივი ტერორის მსხვერპლთა სამარხიდან ნეშტების ამოსვენებისა და შესწავლის სამუშაოებს.

მათივე ცნობით, 3 თებერვალს პოლონელმა სპეციალისტებმა სრულად გახსნეს №6 სამარხი, რის შემდეგაც დაიწყება ნეშტების ამოსვენების პროცესი. არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად სულ ნაპოვნია 29 ადამიანის ნეშტი.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ შსს არქივში დაცული, სხვადასხვა დღეს შედგენილი განაჩენის აღსრულების აქტების შესწავლის შედეგად აღნიშულ სამარხში აღმოჩენილი ნეშტების რაოდენობა ემთხვევა 1938 წლის 15 მარტის განაჩენის აღსრულების აქტში არსებულ რეპრესირებულთა რაოდენობას.

დოკუმენტის თანახმად, 1938 წლის 11 მარტს, საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის, გოგლიძის მიმართვისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის, ზაქარაიას უშუალო ბრძანების საფუძველზე, 1938 წლის 15 მარტს, ღამის 4 საათზე სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა აღასრულეს 29 ადამიანის მიმართ.

ორგანიზაციის გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეს ადამიანები იყვნენ:

1. აშრაფიანი ფილიპე ივანის ძე — დაბ. 1868 წ.
2. ასატურიანი არუთუნ გეორგის ძე — დაბ. 1906 წ.
3. ანდღულაძე ილარიონ იასონის ძე — დაბ. 1887 წ.
4. აბაშიძე ისმაილ ჰუსეინის ძე — დაბ. 1904 წ.
5. ალეკპეროვი ჰუსეინ ალეკპერის ძე — დაბ. 1869 წ.
6. ბულეიშვილი გერასიმე პეტრეს ძე — დაბ. 1884 წ.
7. ბატტი მიხაილ მიხაილის ძე — დაბ. 1868 წ.
8. ვერეშკო ანტონ ანტონის ძე — დაბ. 1863 წ.
9. გოლიაძე პართენ ამბაკოს ძე — დაბ. 1878 წ.
10. გაგუა სერაპიონ სიმონის ძე — დაბ. 1885 წ.
11. გორდელაძე გიორგი იოსების ძე — დაბ. 1893 წ.
12. გობრონიძე ირაკლი გიორგის ძე — დაბ. 1883 წ.
13. ერშოვი ევგენი ვასილის ძე — დაბ. 1890 წ.
14. ჟულჩენკო სიმონ დიმიტრის ძე — დაბ. 1905 წ.
15. კრომლიდი ფილიპ გეორგის ძე — დაბ. 1903 წ.
16. ლოპატინი ტიმოფეი პროკოფის ძე — დაბ. 1892 წ.
17. მხჩიანი არამ გრიგორის ძე — დაბ. 1898 წ.
18. მანჯგალაძე (პოპოვა) მირა ვალერიანის ასული — დაბ. 1908 წ.
19. ნიკოლაიშვილი ნიკოლოზ თაყას ძე — დაბ. 1881 წ.
20. რუსეიშვილი ირაკლი მოსეს ძე — დაბ. 1897 წ.
21. ტოლმაჩევი დემიან ფიოდორის ძე — დაბ. 1890 წ.
22. ტანტ-ოღლი მევლუდ აჰმედის ძე — დაბ. 1892 წ.
23. თოდუა ლეონიდე სიმონის ძე — დაბ. 1893 წ.
24. ხარაიშვილი სიმონ დავითის ძე — დაბ. 1895 წ.
25. ხალვაში აბდულა ისკენდერის ძე — დაბ. 1905 წ.
26. ცეცხლაძე რიზა თემურის ძე — დაბ. 1917 წ.
27.ცინცაძე გრიგოლ მაქსიმეს ძე — დაბ. 1905 წ.
28. ჩაგანავა ნილოზი მელიტონის ძე — დაბ. 1910 წ.
29. ჩხაიძე გედევან ქიშვარდის ძე — დაბ. 1908 წ.

„აღმოჩენილ ნეშტებს ხელები უკან აქვთ შეკრული, ხოლო თავის ქალაზე აღენიშნებათ ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული შემავალი ჭრილობა — ზუსტად ისეთი ნახვრეტი, როგორიც აღენიშნებათ სხვა ქვეყნებში მსგავს ადგილებში აღმოჩენილ, საბჭოთა დიდი ტერორის დროს დახვრეტილი ადამიანების თავის ქალებს. გარდა ამისა, სამარხები, რომელიც წარმოადგენს წინასწარ გათხრილ დიდ ორმოებში ერთად მოთავსებული ათეულობით ადამიანის ნეშტს (რომელსაც შემდეგ სავარაუდოდ მიწის ერთიანი მასა გადააყარეს), სხვა ქვეყნებში აღმოჩენილი ანალოგიური ადგილების იდენტურია.

სამარხებში ასევე აღმოჩენილია 1930 წლიდან 1936 წლის ჩათვლით მოჭრილი საბჭოური მონეტები (კაპიკები). ღილები, სავარცხელი, ბოთლის ნამსხვრევები, ფეხსაცმლის და ტანსაცმლის ნარჩენები. ნეშტების განცალკევების შემდეგ დაიწყება მათი ანთროპოლოგიური შესწავლის პროცესი,

შესწავლისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს ის ფაქტი, რომ 1938 წლის 15 მარტს დახვრეტილებს შორის ქალიცაა — 30 წლის მანჯგალაძე (პოპოვა) მირა ვალერიანის ასული. მისი იდენტიფიცირების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება სამარხის დათარიღება 100%-იანი სიზუსტით, “- ამბობენ ორგანიზაციაში.

IDFI-ის მიერ არქივებში ჩატარებული კვლევით, 1937-1938 წლებში სხვადასხვა სადამსჯელო ოპერაციის შედეგად (როგორიც არის კულაკური ოპერაცია, სტალინური სიები, ნაციონალური ოპერაციები და სხვა) აჭარაში სულ 1050 ადამიანი დახვრიტეს. კვლევით დადგინდა, რომ ამ 1050 ადამიანს შორის იყო 11 ქალი.

IDFI მიიჩნევს, რომ აუცილებელია წარიმართოს ცნობიერების ამაღლების კამპანია მოსახლეობაში, განსაკუთრებით სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს შორის, რაშიც უნდა ჩაერთოს მთავრობა, სასულიერო პირები, სპეციალისტები და საკითხზე მომუშავე ორგანიზაციები, რათა აქტიურად გავრცელდეს ინფორმაცია 1937-38 წლებში მიმდინარე რეპრესიების მსხვერპლთა შესახებ.

მონატრება

ლევან დავითაშვილი

უკვე მეექვსედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს, შვილო. 20 თებერვალს 40 წელი შეგისრულდებოდა, უბედურმა შემთხვევამ შეიწირა შენი ლამაზი სიცოცხლე. თავზარდამცემი იყო ჩვენთვის შენი დაღუპვა. ეს ტკივილი თითოეულ ჩვენგანს ცხოვრების მეგზურად ექცა.

ლევან, ყოველი დღე შენს მოლოდინში თენდება და ღამდება. ის სიხარული, რომელიც შენი მხიარული შემოსვლით გვანიჭებდი, სადღაც გაქრა და ახლა მხოლოდ მოგონებად დაგვრჩა. 20 თებერვალი შენი დაბადების დღეა, რომელიც ძალიან გვიყვარდა დედ-მამას, ძმებს, ნათესავებს. ახლა ისღა დაგვრჩენია, მოვიდეთ შენს სამუდამო სასუფეველთან ყვავილებით, აგინთოთ სანთლები. 40 სანთელი იქნება შენი დაბადების დღის საჩუქარი, გვაპატიე შვილო, რომ უშენოდ ცხოვრება ვისწავლეთ. მოვდივართ შენთან. შენს მაგივრად გაყინულ ქვას ვეფერებით, ვესაუბრებით. დაველოდებით ღმერთის ნებას. შეხვედრამდე შვილო. უფალს ვთხოვ ნათელში მიმყოფოს შენი სული. მძიმე და უფერულია ცხოვრება უშენოდ. ძალიან გვენატრები. ჩვენო ტკივილო.

შენი ოჯახი.

ეთერ შიუკაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყება
გია დავითაშვილის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მეუღლესა და შვილებს. დაიკრძალა ქ. გორში.

მადლენა ყოჩიაშვილი, ეკა და მაკა აფციაურები ღრმა მწუხარებით იუწყებიან
კაკო პოპიაშვილის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მეუღლეს - ნათელა ლაპიაშვილს, შვილების - თამილა და თეა პოპიაშვილების ოჯახებს.

სოფელ სამრეკლოს გამგეობა და გამგეობის ყოფილი თანამშრომლები: იზოლდი ხარაშვილი, ფატი სარიშვილი, მანანა წიკლაური, ნინო ბურდული, ზურაბ ლეკაშვილი, ლიდა ემრაშვილი, ნანა გომიაშვილი და ცისანა არაბული იუწყებიან
ნატალია (კატო) ნატროშვილ-მაძღარაშვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ლევან მაძღარაშვილს დედის გარდაცვალების გამო.

ნოდარ გივიშვილი, გივი ლომიძე, დოდო ლომიძე, ნაზი მოსაშვილი, მარიკა ჯავახიშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ჯემალ კოტაშვილს დის, ინაზი კაკალაშვილს მულის, ვახტანგ და მარინა კოტაშვილებს მამიდის
ნელი კოტაშვილის
გარდაცვალების გამო.

მეზობლები: გენადი ნასრაშვილი, ნანა ყაზარაშვილი, ომარ ალადაშვილი, სოსო გოგაშვილი, ნონა ნიკოაშვილი, გია გონაშვილი, მზია ბარბაქაძე, დათო რობიტაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ჯემალ კოტაშვილს - დის, ინაზი კაკალაშვილს - მულის, მარინა და ვახტანგ კოტაშვილებს, რძალს ანის-მამიდის, ნინოს-პაპიდის
ნელი კოტაშვილის
გარდაცვალების გამო.

მადლენა ყოჩიაშვილი, ეკა და მაკა აფციაურები თანაგრძნობას უცხადებენ ჯემალ, ინაზი, მარინა, ვახტანგ კოტაშვილებს
ნელი კოტაშვილის
გარდაცვალების გამო.

კუპიდონი იზოლაციაში ანუ სიყვარული - საუკეთესო ვაქცინა

პანდემია პროცესია, რომელიც გვინდა თუ არა, მაინც ახშობს ცხოვრების ჩვეულ რიტმს და ჩვენს ყოველდღიურ სურვილებსა თუ შესაძლებლობებს შორეულ ქარებს ატანს. პანდემია კრიზისია, რომლის დროსაც, როგორც ვირჯინია ვულფი იტყოდა, „ადამიანის მარადიული ბუნება იცვლება“. მაგრამ, უფრო რეალისტები თუ ვიქნებით, ამ კრიზისის დროს ჩვენი რეალური ბუნება, არსი, შიშები და სისუსტეები უფრო თვალხილული ხდება და დგება ჟამი, როდესაც ვფიქრობთ: ვინ უნდა გადაგვარჩინოს? ვის ეკისრება გადარჩენის დიდი მისია, რომელიც მათ შარავანდედ-მანტიიანად გმირებად აქცევთ? თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხორციელ მკურნალობასთან ერთად, ჩვენ სულზე დაკვირვება, სულის გადარჩენა და შინაგანი სამყაროს მოვლა-პატრონობაც გვევალება.

პანდემია ურთიერთობებია სიახლოვის გარეშე. ის ქაოსია, რომელიც მუდმივად გვიტევს და გვცდის, თუ ვინ როგორ მივიღებთ გარემოს ზეწოლას და რამდენად მზად ვიქნებით მასთან საბრძოლველად. ბრძოლას კი მაშინ აქვს აზრი, როდესაც დასაკარგი რაღაც ან ვიღაც ჩვენთვის ძვირფასია. ამიტომ, პანდემია ურთიერთობების გამოცდა აღმოჩნდა. მან კუპიდონიც კი იზოლაციაში „გამოკეტა“. ვერ გეტყვით, თითქმის რვა მილიარდმა ადამიანმა დედამიწაზე ეს გამოცდა როგორ ჩააბარა, მაგრამ პროცესი რომ ნამდვილად კრიზისული აღმოჩნდა, უამრავმა კვლევამა და შესაბამისმა დასკვნამ აჩვენა. ზოგი განქორწინდა, ზოგმა დიდხნიანი სასიყვარულო ურთიერთობა დაასრულა, ზოგმა მეგობრობაზე და მეგობრობის არსზე თქვა უარი, ზოგმა პანდემია დიდი ხნის წინ დაწყებული ბზარების ბოლომდე მიყვანაში გამოიყენა და ასე დაასრულა, ის რაც აქამდეც უნდა მომხდარიყო. პროცესი შეუქცევადი აღმოჩნდა და დღემდე არის.

თუმცა, როგორც ექიმები იბრძვიან დღეს უამრავი ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, ისე თითოეული ადამიანი უნდა იბრძოდეს ღირებული ურთიერთობებისა და საკუთარი თავის „შინაგანი სამყაროს“ გადასარჩენად. ვაქცინაცია თავისი არსით მხოლოდ მეცნიერების მიერ შექმნილი წამალი არ არის. სიყვარული ვაქცინაა, რომელიც ამ საუკუნეს ყველაზე მეტად აკლია. ზოგადად ადამიანს აკლია, ის რაც მისი გადარჩენის წინაპირობაა. სიყვარულს ალტერნატივა არ აქვს და მასთან არ არსებობს სხვა გეგმა. კაცობრიობამ მოიგონა უამრავი დღე სიყვარულისა, მაგრამ ის კი ვეღარ მოიგონა, როგორ შევინარჩუნოთ ეს სიყვარული. მოგონება მარტვია, მისი შენახვა და გაფრთხილება, კი...„რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“

„სიყვარული ყველაზე ძველი, ამავე დროს, ევოლუციას დაქვემდებარებული მოვლენაა, რომელიც სულ იარსებებს. ახალმა კორონავირუსმა გვაიძულა, კიდევ ერთხელ მკაცრად გადაგვეხედა ჩვენი საჭიროებებისთვის, მიგვეღო რთული გადაწყვეტილებები და გვეშენებინა უფრო ძლიერი პარტნიორობა საყვარელ ადამიანებთან და საკუთარ ოჯახის წევრებთან. პანდემია უდიდესი შესაძლებლობაა, უფრო მეტი გავიგოთ საკუთარ პარტნიორსა თუ ახლობლებზე, ერთად გავიზარდოთ. ერთი მხრივ, ადამიანი თავისუფლებისმოყვარე, მოხეტიალე არსებაა, მაგრამ მეორე მხრივ - მთელი რიგი მიზეზების გამო, მას სახლიც სჭირდება. მუდმივად ვინმესთან ახლოს ყოფნა შემოქმედებითობას მოითხოვს.“

თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ კრიზისი დროს დადებითზეც ვკონცენტრირდეთ. არ ვაჩვენოთ სიძულვილი საყვარელ ადამიანსა თუ ოჯახის წევრებს. მათი მოსმენა და კომპორმისებზე წასვლა სულაც არ გვაკნინებს, პირიქით, ის საბოლოოდ იმაზე კარგ შედეგს მოგცემთ, ვიდრე ელოდით.

ფსიქოლოგ ნათია ფანჯიკიძის სიტყვებითაც „სიყვარული რთული საქმეა, შეიძლება თან გადაჰყვე და სძულდე ადამიანს ან უყვარდე ყველანაირი სამსახურის გარეშე“, მაგრამ ამავდროულად „ამქვეყნად ყველანაირი დაავადება სიყვარულის ნაკლებობის გამო ჩნდება და ყველანაირ დაავადებას სიყვარული კურნავს. ხელს მოვაწერ ყოველთვის ამ სიტყვებს. ეს არის ერთადერთი ჯადოქრობა. თუ ღმერთი სიყვარულია, მაშინ ლოცვა ყოფილა სიტყვა „მიყვარხარ.“

თუკი გვინდა, რომ კუპიდონი იზოლაციიდან, ხოლო ურთიერთობები დეფიციტიდან გამოვიყვანოთ, მივყვეთ რეგულაციებს და შემოთავაზებული ვაქცინების ჩამონათვალს სულ თავში პირველი და შეუცვლელი ვაქცინა დავუყენოთ - სიყვარული, რომელიც ყველა სიმძიმეს ამსუბუქებს და ყველა კრიზისს შესაძლებლობად აქცევს, შეხედო სამყაროს განსხვავებულად და სხვისი თვალებით.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო!

„წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე“ დედოფლისწყაროში, პანდემიიდან გამომდინარე, მოკრძალებულად აღინიშნა. როგორც მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორი ილია მარტყოფლიშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას აცხადებს, „ „წიგნის საჯაროდ კითხვის დღე“, კოვიდრეგულაციებიდან გამომდინარე, შეზღუდულად, მაგრამ მაინც ჩატარდა. დედოფლისწყაროს ცენტრალური მუნიციპალური ბიბლიოთეკის გარდა, ეს დღე აღინიშნა დედოფლისწყაროს სოფლების ბიბლიოთეკებსა და საჯარო სკოლებში“.

დედოფლისწყაროს მუნიციპალური ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მანანა მაჭარაშვილის ინფორმაციით, ბიბლიოთეკამ წიგნის კითხვის საჯაროდ კითხვის დღე ღონისძიებით აღნიშნა. მასში მონაწილეობდნენ ბიბლიოთეკის მოქალაქეთა მომსახურების განყოფილების თანამშრომლები: თინათინ სულაშვილი და თინათინ ელაშვილი, ასევე საბავშვო ბიბლიოთეკის წარმომადგენელი ზაირა კაისაძე, რომლებმაც წაიკითხეს სიმონ ჩიქოვანისა და მურმან ლებანიძის ლექსები. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მოსწავლეები ნატალი და მარიამ ალუღიშვილები, რომელთაც პოეზიის სიყვარული ამ დღესაც საჯაროდ დააფიქსირეს და თავიანთი საყვარელი პოეტების ლექსები მხატვრულად წაიკითხეს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალური ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ისაუბრა წიგნის საჯაროდ კითხვის დღის მნიშვნელობაზე და მიმოიხილა 2022 წლის იუბილარი ქართველი ავტორების- სიმონ ჩიქოვანისა და ნინო ნაკაშიძის შემოქმედება. წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე მსოფლიოში ცნობილი ღონისძიებაა, რომელშიც 100 სხვადასხვა ქვეყნიდან 31 მილიონ ადამიანამდე მონაწილეობს და ერთიანდება საერთო სლოგანის გარშემო: იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო!

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მიზანია, საქართველო შეუერთდეს ამ საერთაშორისო ინიციატივას და გახდეს მსოფლიოს ამ მასშტაბური ღონისძიების ნაწილი, საქართველო და მისი ქალაქები მოხსენიებული იყოს მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქების გვერდით. ჩაერთოს ბევრი ადამიანი და ვიკითხოთ წიგნი მსოფლიოსთან ერთად. მნიშვნელოვანია ასევე ღონისძიების მასშტაბურობა — ლოკალური და რეგიონული მასშტაბით წიგნის ავტორების, უნივერსიტეტების, სკოლების, წიგნის მაღაზიებისა და კულტურის ცენტრების ჩართულობა, რათა ხელი შეეწყოს საქართველოში წიგნის პოპულარიზაციას. წიგნის კითხვის დღე საქართველოში წიგნთან დაკავშირებულ პროცესებს უფრო მრავალფეროვანს და საინტერესოს გახდის. საქართველოში წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე უკვე მეშვიდედ ჩატარდა.

ინგა შიოლაშვილი

ქვეყნად ერთი ქრისტე დარჩა, და იუდა რამდენი!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ი.ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის თაოსნობით 2 თებერვალს დღის 2 საათზე ღია ცის ქვეშ თბილისის ოპერის ბაღში გაიმართა წიგნის საჯაროდ კითხვის დღე.

მწიგნობართა ასოციაციის წევრებთან ერთად წიგნის საჯაროდ კითხვაში მონაწილეობა მიიღეს სპეციალურად მოწვეულმა სტუმრებმა, ოპერის წამყვანმა სოლისტებმა: მაყვალა ასპანიძემ, მარიკა მაჩიტაძემ, ირინა ალექსიძემ, არმაზ დარაშვილმა, ლევან მაკარიძემ, ოთარ შიშილაშვილმა.

მათ წაიკითხეს ზ.გამსახურდიას ლექსები და განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს:

„ზეცად ასულს უკან გაგეგზა,
ლოცვა-ცრემლის დამდენი,
ქვეყნად ერთი ქრისტე დარჩა,
და იუდა რამდენი...“

ოვაცია დაიმსახურა ახალგაზრდა დეკლამატორის მარიამ ტოხიშვილის მიერ წაკითხულმა ლექსებმა, ცნობილი პოეტების: მზია ხეთაგურის, თემურ ჩალაბაშვილის და ჯუმბერ უთრუთაშვილის წიგნებიდან.

საკუთარი ლექსებით წარსდგა მსმენელების წინაშე პოეტი ნანი საბანაძე, რომელმაც თავისი პოეზიით კიდევ ერთხელ გაუთბო გულები წიგნის მოყვარულებს. ღონისძიებას უძღვებოდა ია ხურცილავა, ხელოვნებათმცოდნე, ქართულ-ამერიკული სკოლის პედაგოგი. მან განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ოპერის მეგობარს, პროექტის ავტორს და ორგანიზატორს ნანა ჭიჭინაძეს, რომელმაც პანდემიის პიკის პერიოდში შეძლო და შეკრიბა ძვირფასი საზოგადოება დევიზით „იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო“!

საჯაროდ კითხვის დღე დასრულდა კახური მრავალჟამიერით, ოპერის სოლისტების შესრულებით.

მარიკა პოპიაშვილი

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 14.02		სამშაბათი 15.02		ოთხშაბათი 16.02		ხუთშაბათი 17.02		პარასკევი 18.02		შაბათი 19.02		კვირა 20.02	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	3°	−4 °	7°	−2 °	8 °	−2 °	10 °	−2 °	11 °	-1 °	11 °	0 °	11 °	-1 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591 09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.